

სომხური პროექტი XVIII საუკუნის საქართველოში

სუვერენული სახელმწიფო ორგანიზაცია, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ერის არსებობის და განვითარების, ხალხის თავისუფლების და ჰარმონიული ცხოვრების გარანტია. საუკუნეთა განმავლობაში საკუთარ სახელმწიფო ებრიობას მოკლებული სომხური საზოგადოებრივი აზრის უპირველეს საკითხს სახელმწიფოს აღდგენა წარმოადგენდა. უცხოეთის სომხურ დიას-პორებში იწყება ამ პროექტის რეალიზება, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შემცველ პოლიტიკურ პროგრამებში გამოიხატა. მათში დომინირებს მესამე ძალის დახმარების და როლის იდეა, რომელშიც ჯერ ეპროპის ქვეყნები, შემდეგ კი რუსეთი მოიაზრება. XVIII საუკუნიდან კი თვალ-ნათელია კავკასიელი ხალხების (დაღესტნელები, ავარიელები, იეზიდები, ასირიელები) ქართული ორიენტაცია, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაახლოების მისწრაფებაში გამოიხატა. ევროპის დახმარების არარეალურობა, რუსეთის იმპერიის არაერთგზისი იმედგაცრუება ბუნებრივად სვამდა ადგილობრივ ძალთა გაერთიანების საკითხს. ერთობის მიმზიდველ ბირთვად იქცა ქართლ-კახეთი, სადაც ოდითგანვე დამახასიათებელი რელიგიურ-ეთნიკური შემწყნარებლობა ნაციონალური იდენტობის მახასიათებელი იყო.¹ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ის ურთიერთობები სომხებთან, მეფე არჩილისა და ისრაელ ორის ურთიერთობა, ვახტანგ VI-ის შესახებ კი წერს სომეხი ისტორიკოსი ლეო, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის სომხური ჯარის შექმნის საქმეში.²

XVIII საუკუნის 20-იან წლებში სეფიანთა წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლაში აქტიურად არიან ჩართული ვახტანგ VI და მისი ვაჟი ბაქარი. მათ კავშირი ჰქონდათ სომეხ აჯანყებულთა უმთავრეს კერებთან და თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით ხელმძღვანელობდნენ ამ მოძრაობას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დავით ბეგის ეპოქეა, რომელიც სომეხთა ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო კერას უკავშირდება ლაფანში. „დავით ბეგის ისტორია“ გვაწვდის ცნობას, რომლის მიხედვით, 1722 წელს აღმოსავლეთ სომხეთის მთიანმა რაიონებმა (სისიანი, ლაფანი, მელისი) ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართულ სამეფო კარს მიმართეს დახმარებისათვის. სომხებმა ვახტანგ VI-ს წარმომადგენელი გამოუგზავნეს, რომელსაც საქართველოში გამოატანეს ამ სომხური რეგიონების 50 მამასახლისის ბეჭედ-დასმული და ხელმოწერილი თხოვნის წერილი.³ სომეხთა წარმოგზავნილი

¹ ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის ურთიერთობა, გვ. 161.

² Leo, *Hayou patmowlyown*, გვ. 608.

³ დავლიანიძე, ლუკა სებასტიილის „დავით ბეგის ისტორია“, გვ. 163.

ბაქარმა მცხეთაში მიიღო. ქართველმა უფლისწულმა დააკმაყოფილა სომეხთა თხოვნა, გამოიძახა თავისი რაზმელი, სივნიელი დავით ბეგი, გაგზავნა სომხეთში და თან გააყოლა სამხედრო საქმის მცოდნეთა მცირე რაზმი. დავით ბეგი სომხეთში ჩასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სომეხთა მოძრაობას ყიზილბაშთა წინააღმდეგ.¹

XVIII საუკუნის 60-იან წლებიდან კიდევ უფრო მეტად იკვეთება კავკასიელ ხალხთა შორის ერთიანობის აუცილებლობა. საერთო კავკასიური მოდელის იდეა ისტორიულად არაერთგზის დაფიქსირებულა როგორც მედიევალურ, ისე თანამედროვე საქართველოში. მისი ისტორიოგრაფიული დადასტურება „ქართლის ცხოვრების“ ეთნოგენეტიკურ სქემასთან ასოცირდება. ამ სქემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში და აქ არ არის მათი განხილვის ადგილი. ერთს კი დავძენ, ამ ეთნოგენეტიკურ კონცეფციას, სადაც კავკასიელთა საერთო წარმომავლობაა შოცემული, უფროსი (ჰაოსი) და უმცროსი (ქართლოსი) ძმის ფენომენია სადაც, ვფიქრობთ, ის დატვირთვა ჰქონდა, რომ საქართველო, როგორც მუდამ დომინანტი ქვეყანა კავკასიაში, ცდილობდა ისე ფრთხილად ეკისრა კავკასიის გამაერთიანებლის მისია, რომ მენტალურად არავინ დაზიანებულიყო. სომეხთა სარწმუნოებრივი განსხვავებულობის ვერ დაძლევის შემთხვევაშიც კი, ამ თეორიის არსებობის ფონზე, მათი ინტეგრაცია უფრო გაადვილდებოდა.² ეს ტენდენცია აისახა სწორედ ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში ქართული საისტორიო მწერლობის სახით. ქართულ ერთობას ასე ფრთხილად შემოჰყავს რელიგიურად განსხვავებული მიმდინარეობის სომხური ერთობა ერთიან ქართულ იდენტობაში. თავად ერთიანი კავკასიური სახლის იდეა ჩემთვის განუხორციელებელ და არასაჭირო, არააუცილებელ გაერთიანებად ისახება სწორედ მისი განსხვავებული რელიგიური, მენტალური, კულტურული გამოცდილების გამო. მაგრამ სხვა ვითარებაა განსახილველ პერიოდში, როცა განგრძობადი სახელმწიფოებრიობის გამოცდილება სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ საქართველოს შერჩენია, როცა ერეკლე II, გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე, ერთადერთი რეალური პოლიტიკური ძალის მქონე მმართველი - დღედაღამ იმის ფიქრშია ვის მიაბაროს საქართველო, მას მის სიცოცხლეში აქვს გადაწყვეტილი ამ პრობლემის მოგვარება. ყველაზე ცუდი, რაც ამ დროს ხდება ისაა, რომ ქართული სამეფო ელიტა იწყებს ფიქრს, შეუძლია თუ არა ქართულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად, სხვა ქვეყნის პროტექტორატის გარეშე არსებობა. ქართულ მენტალობაში იწყება უცხო მხსნელის ძიების პროცესი. ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ქართული შეჭიდულობა გვშველიდა, რაც როგორც ჩანს მძლავრად შეირყა. სწორედ ამ დროს ჩნდებიან ერეკლესთან სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები გაერთიანებული კავკასიის მოდელით. ამ იდეას სრულიად სომხობა უჭერს

¹ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა, გვ. 85-86.

² კვაჭანტირაძე, ქართული თვითცნობიერება, გვ. 76.

მხარს, როგორც კავკასიაში მცხოვრები, ისე ოსმალეთის იმპერიაში. სომხური ერთობა იმედით შეჰყურებს ერეკლეს ანტიოსმალურ გეგმებს, გულშემატკიფრობს და მოკავშირედ მოიაზრებს მას.¹

სომხეთში, სახელმწიფოს არარსებობის პირობებში, ეკლესიას აქვს აღებული ამ ეთნოსის გამაერთიანებლის ფუნქცია. სეფიანთა ბატონობის რეჟიმში არც ეკლესიას და მით უმეტეს არც საერო საზოგადოებას არა აქვს ქვეყნის გათავისუფლების სტრატეგიის შემუშავების უნარი. ამიტომ სომხური ერთობა, როგორც ყოველთვის, ქვეყნის გარეთ, დიასპორაში ეძებს გამოსავალს. ამ პერიოდში ქვეყნის გათავისუფლების და სახელმწიფო მოდელის ჩამოყალიბებაში ინდოეთის სომხური ბურუუაზია აქტიურობს. ისმის კითხვა რატომ მაინცდამაინც ინდური დიასპორა. ეს შემთხვევითი არ იყო. ინდოეთში ჩამოყალიბებული სომებს კომერსანტთა ფენა, რომელიც თავდაპირველად დაწინაურებულ ადგილს იკავებს უცხო ქვეყნის ბიზნეს სფეროში, XVIII საუკუნის II ნახევრიდან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. როგორც ჩანს, მათ ვერ შესძლეს ვერც ადგილობრივ საქმიან წრებში დამკვიდრება, ვერც პრიტანელებთან აქტიური თანამშრომლობა. ამასთან მომძლავრდა ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელიც ამარცხებს ევროპელ კონკურენტებს - პორტუგალიელებს, პოლანდიელებს, ფრანგებს და ნამყვანი ხდება ინდოეთის ეკონომიკურ ბაზარზე. აქამდე სომხური ბურუუაზია ერთგვარი მოკავშირეს ფუნქციას ასრულებდა, ახლა კი დაწინაურებული ადგილობრივი კომპანიისათვის ის სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. სომებმა ვაჭრებმა სცადეს საკუთარი ადგილის მოპოვება 1763 წლის ანტიბრიტანულ აჯანყებაში მონაწილეობით, რაც კიდევ უფრო წამგებიანი აღმოჩნდა მათვის. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ სომებს კომერსანტებს ჩამოართვა 1688 წლის ქარტიით მინიჭებული პრივილეგიები. ამგვარად, სომხური ბურუუაზია გამოუვალ სიტუაციაში და ზედმეტი აღმოჩნდა ინდოეთში. მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოს შეეძლო მათი ქონების გარანტირება.² სომებს კომერსანტთა ოჯახები - მურადიანები, ვოსკანიანები, შაამირიანები - დიასპორული პერსპექტივიდან იწყებენ სომხეთის ალდგენა-ალორძინების გეგმების შემუშავებაზე ფიქრს. ადგილობრივ სომხურ საზოგადოებასა და ეკლესიაში არ ჩანს ბრძოლისუნარიანობის ძალა, ამიტომ ევროპული სახელმწიფოების პროტექტორატი ყველაზე რეალური გამოსავალია. ასეთად შეიძლება მოიაზრებოდეს ინგლისი, რომელთანაც სომხურ ბურუუაზიას ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება აქვს და რუსეთი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი აქტორის როლს ირგებს კავკასიაში. მაგრამ ვერც ერთი მათგანი მაორგანიზებელ ფუნქციას ვერ შეასრულებს სომხური სახელმწიფოს ალდგენაში. ერთადერთი რეალური პოლიტიკური სუბიექტი შეიძლება ქართლ-კახეთი და ერეკლე II იყოს - გან-

¹ ნაცვალაძე, რატომ ცდილობდა რუსეთი, გვ. 8.

² გოგოლაური, სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა, გვ. 101.

გრძობადი სახელმწიფოებრიობის გამოცდილებით, იმდროინდელი დაწინაურებული მდგომარეობით კავკასიაში, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობებით. ამიტომ ორიენტაცია იხდისზე ან რუსეთზე XVIII საუკუნის სომები მოღვაწეებისათვის ნიშნავდა ერთდროულად ორიენტაციას საქართველოზე.¹ სწორედ ამიტომ დაიკავა სომხურ პოლიტიკურ პროგრამებში დაწინაურებული ადგილი საქართველომ. ერეკლე II-ის კარზე სომხური პროექტის რამდენიმე ვარიანტი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ჩვენს სტატიაში იოსებ ემინის პროექტს შევეხებით.

იოსებ ემინი სამხედრო საქმის სპეციალისტი და პოლიტიკური პროგრამის ავტორი წარმომავლობით ვაჭართა წრიდან იყო. ემინის შესახებ უმთავრესი წყარო მისი ავტობიოგრაფიული ნაშრომია. აქ აღნერს ის მის მოგზაურობებს, მათ შორის საქართველოში. ამ წყაროსადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, მისი გამოყენება მხოლოდ წყაროთ-მცოდნეობითი ანალიზისა და კრიტიკული მიდგომის შემდეგაა შესაძლებელი. იოსებ ემინი 1726 წელს დაიბადა ირანის ქალაქ ჰამადანში, შემდეგ ოჯახთან ერთად ინდოეთის ქალაქ კალკუტაში გადავიდა საცხოვრებლად. აქ დაამთავრა წმ. ანას სახელობის ინგლისური სკოლა. 1751 წელს ინგლისში მიდის სამხედრო საქმის შესასწავლად, სწავლობს ვულვიჯის სამეფო სამხედრო აკადემიაში საარტილერიო საქმის მიმართულებით.² ინგლისში ინყებს ემინი თავისი პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბებას, რომლის ძირითადი მიზანი სომხური სახელმწიფოებრიობის ახალი მოდელის შექმნა იყო ინგლისის პროტექტორობით. ემინი თავისი მეგობრების (ედმუნდ ბერკი - პუბლიცისტი, ელისაბედ რობინსონი - ლიტერატურული სალონის მფლობელი) მოიპოვებს ბრიტანეთის პრემიერის უილიამ პიტის აუდიენციას, მაგრამ მისი პროგრამა ინგლისისთვის საინტერესო არ აღმოჩნდება. ამის შემდეგ იცვლება ემინის პოლიტიკური გეგმები და მისი პროექტების ძირითადი იდეა ხდება ქართულ-სომხური სამეფოს შექმნა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში. ბრიტანეთის პრემიერისგან უარის შემდეგ, ემინს პროტექტორი ჰყავს საძიებელი. სწორედ აქ, ინგლისში ხდება ემინისა და ბრიტანეთში რუსეთის ელჩის გოლიცინის მეტად საეჭვო შეხვედრა, რაც გვაფიქრებინებს, რომ არა რუსეთი ხდება ემინისთვის სასურველი პარტნიორი, არამედ ემინია რუსეთისთვის საინტერესო ფიგურა. საქმე იმაშია, რომ ქართულ-სომხური პოლიტიკური გაერთიანება, პირველ რიგში, რუსეთისთვის არ არის სასურველი. რუსეთს კავკასიური ექსპანსიის გეგმები უკვე დამუშავებული და კარგად ჩამოყალიბებული აქვს. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო ერთადერთი ანგარიშგასანევი ძალაა სამხრეთ კავკასიაში, მის მეფეს ერეკლეს ირანის შაჰი ქერიმ-ხანი ერევნის სახანოზე მმართველობას უთმობს და არა მხოლოდ. ერეკლეს ემორჩილება სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულების

¹ ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის ურთიერთობა, გვ. 161-162.

² Life and adventures, გვ. 47.

აბსოლუტური უმრავლესობა და ახლა კიდევ, ამას ემატება ქართულ-სომხური სამეფოს გაერთიანების იდეა. კავკასიის მპყრობელობის მოსურნე რუსეთისთვის ასეთი სიტუაცია მიუღებელი და საშიშიცაა. მით უმეტეს, რომ ის არავისგანაა მართული. ასეთ ვითარებაში რუსეთს სჭირდება ემინის გადმობირება, მისთვის ზუსტი დირექტივების მიცემა, მისი მოვალეობების დაგეგმვა, რაც მას სამხრეთ კავკასიაში არასასურველი პროცესების გაკონტროლების საშუალებას მისცემს. სწორედ ემინის მეშვეობით უნდა მოახერხოს რუსეთმა მოვლენები თვითდინებაზე არ მიუშვას და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს.¹ გოლიცინი არა მხოლოდ ხვდება და ეცნობა იოსებ ემინს, არამედ სარეკომენდაციო წერილსაც ატანს რუსეთის იმპერიის კანცლერ მიხეილ ვორონცოვთან, რითაც ფაქტიურად რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას გადააბარებს შემდგომი მოქმედების გეგმას. სწორედ ვორონცოვი დაუგეგმავს ემინს შეხვედრას პეტერბურგში მყოფ მეფე თეიმურაზთან, საიდანაც იწყება საქართველოს ურთიერთობები სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან. მათი შეხვედრა შედგა ვორონცოვის ბინაზე, ესწრებოდნენ ინგლისის ელჩი კეიტი და თარჯიმანი. ემინი თავის ავტობიოგრაფიაში ვრცლად ეხება ამ საუბარს. ვორონცოვმა ჰკითხა ემინს, რატომ გადაუწყვეტია მას ერეკლესთან სამსახური, ის ხომ ისეთი სუსტი და ლარიბია, რომ მამამისი იძულებულია პეტერბურგში ჩამოვიდეს ფულისა და ჯარის სათხოვნელად. ამაზე ემინმა უპასუხა, რომ „საქართველო სულაც არ არის ლარიბი ქვეყანა, პირიქით, ის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა თავისი ბუნებრივი რესურსებით, აქ ანარმოებენ აბრეშუმს და ბამბას. ევროპული მმართველობის დამყარებით საქართველო განვითარებული და დამოუკიდებელი ქვეყანა გახდება, სომხები კი შეუერთდებიან მათ და დაამარცხებენ დამპყრობლებს. ქართველები ნიჭიერი ხალხია. თუკი თურქთა ბატონობის პირობებშიც კი მათი წარმომადგენლები ხშირად გამხდარან ფაშები და დიდი ვეზირები, რატომ არ შეუძლიათ მათ წარმატებას მიაღწიონ საკუთარ ქვეყანაში?“²

ემინის ამ იმპროვიზირებულმა სიტყვამ ვორონცოვის კეთილგანწყობა გამოიწვია. მან მიიწვია თავისთან მეფე თეიმურაზი, რომელსაც წარუდგინა ემინი და ურჩია გამოეყენებინა ის საქართველოში. თეიმურაზმა ემინი სახლში მიიწვია, გამოთქვა იმედი, რომ მისი შვილი ერეკლე გაითვალისწინებდა მის რჩევას და ემინთან ერთად იმოქმედებდა. ეს არ იყო მათი ერთადერთი შეხვედრა. ემინი წერს, რომ პეტერბურგში ყოფნისას ის ყოველდღე დადიოდა თეიმურაზთან. 1762 წელს დედოფალ ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზი სამშობლოში აპირებდა დაბრუნებას, თან ემინიც მიჰყვებოდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ თეიმურაზი გარდაიცვალა. ემინმა წერილი მისწერა ერეკლეს, რომელშიც სურვილს გამოთქვამდა ჩარიცხულიყო

¹ ნაცვალაძე, რატომ ცდილობდა რუსეთი, გვ. 9.

² Life and adventures, გვ. 178.

ქართველთა ჯარში ევროპელი ოფიცრის თანამდებობაზე და ვალდებულებას იღებდა, რომ ადგილობრივ მეომრებს ევროპელების მსგავსად ასწავლიდა ბრძოლას. წერილში ის ხოტბას ასხამდა ერეკლეს, უზოდებდა მას ქართველთა და სომებთა მფარველს, ქართველთა და სომებთა მეფეს. 1763 წლის აპრილში ემინი, პატარა რაზმით, დარიალის გზით ჩამოვიდა საქართველოში, გაჩერდა სოფელ სტეფანენშინაში, საიდანაც შეატყობინა ერეკლეს მისი ჩამოსვლის შესახებ. მეფე ამ დროს თელავში იმყოფებოდა. 6 დღის შემდეგ მივიდა პასუხი. ემინი ჩავიდა ანანურში და შემდეგ თბილისისკენ გაემართა. ემინი თბილისში სომები ვაჭრის სახლში დააბინავეს, მისი მხლებლები კი მეზობელ სახლებში. ემინმა ბრძანა არავინ შემოეშვათ მასთან, არც ქართველი, არც სომები, რადგან მეფესთან შეხვედრამდე არავისთან საუბარი არ მიაჩნდა მიზანშენონილად. ერთი კვირის შემდეგ ერეკლე თელავიდან დაბრუნდა და მეორე დღესვე გამოიძახა ემინი, მან თან წაიღო ვორონცოვის წერილი, საჩუქრები და სასახლისკენ გაემართა.

ერეკლემ თბილად მიიღო ემინი, მისი თხოვნით დაითხოვა იქ დამსწრე თავადები და შედგა პირველი საუბარი მათ შორის. ემინი ასე აღწერს ერეკლეს: „ერეკლე მეფე მომცრო სიმაღლის მამაკაცია, მის შავგვრემან სახეს ხან მწვანე, ხან ყვითელი ელფერი გადაჰკრავს. ის ძლიერია სულითაც და სხეულითაც. მასთან საუბარი ისევე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელი იყო, როგორც განსწავლულ ინგლისელ ჯენტლმენებთან საუბარი. ის მოკლებულია ყოველგვარ ამპარტავნებას და ქედმაღლობას, ესოდენ ჩვეულებრივს სხვა აზიელი ხელმწიფებისათვის. ის დიდ გონებამახვილობას ამჟღავნებდა და არასოდეს არ ტრაბახობდა. მისი ხმა ისეთი მელოდიური იყო, რომ ანგელოზის ხმა გეგონებოდათ“.¹ ემინმა ქართული არ იცოდა. მეფეს ის ესაუბრებოდა ზოგჯერ თურქულად, ზოგჯერ კი თარჯიმნის როლს საეკლესიო პირი ტერ-ფილიშე კაიტმაზაშვილი ასრულებდა.

ემინმა შესთავაზა ერეკლეს თავისი განათლების რეფორმა, სკოლების გახსნა თავადაზნაურთა შვილებისათვის, სამხედრო საქმის სწავლება, ევროპული განათლების შეტანა საქართველოში. აქვე ისარგებლა შემთხვევით და საუბარი პოლიტიკურ თემაზე გადაიტანა. იგი სთავაზობს ერეკლეს სათავეში ჩაუდგეს სომები ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, გაათავისუფლოს სომხური მიწები მუსლიმთაგან, შექმნას ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფო. აქამდე ერეკლე დიდი გულისყურით უსმენდა სომებს სტუმარს, მაგრამ სწრაფად გააწყვეტინა საუბარი, როგორც კი ემინი თავის პოლიტიკურ გეგმებს შეეხო. ამით პირველი საუბარი ემინსა და ერეკლეს შორის დასრულდა. როგორც ჩანს, მეფე არ იყო წინააღმდეგი ევროპების სამხედრო განათლება მიღებული კაცი გამოეყენებინა თავისი საქმისთვის,

¹ Life and adventures, გვ. 216.

კერძოდ კი, ჯარის ევროპული წესით გასაწვრთნელად, მაგრამ მათი ურ-თიერთობა შეიცვალა, როდესაც ერეკლე ახლოს გაეცნო მის გეგმებს და როცა ემინის საქმიანობაშ აქტიური ხასიათი მიიღო.

ემინი თავის ავტობიოგრაფიაში ახსენებს ერეკლესთან კიდევ ერთ შეხვედრას. ერეკლემ ემინი გულთბილად მიიღო. ძნელია სარწმუნოდ ჩაითვალოს ემინის ცნობები, რომელიც ამ შეხვედრას ეხება. მისი თქმით, ერეკლემ თვითონ დაინყო საუბარი ქართულ-სომხურ კავშირზე და გამოთქვა სურვილი სომხური გრიგორიანული და ქართული მართმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებაზე, რაც ამ ორი ხალხის პოლიტიკური გამარჯვების საწინდარი გახდებოდა. ემინი ცხადია დაეთანხმა ამ აზრს და მიაწოდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ხუთ დღეში 5 ათასი ცხენოსნის და 10 ათასი ქვეითის შეკრებას და დასავლეთ სომხეთში შეჭრას. მანამდე უნდა გავრცელებულიყო პროკლამაცია, რომ ერეკლე მიდის სომხეთის, თავისი სამემკვიდრეო სამეფოს გამოსახსნელად. ემინი პირდებოდა ბაიაზეთიდან 4000 კაცის, შუშიდან 10000 მხედრის, სულ 40000 მეომრის მიმხრობას. ამის დასამტკიცებლად ემინს მოჰყავდა წმ. კარაპეტის მონასტრის წინამძღვრის წერილი. ერეკლე თითქოს დათანხმებია ამ წინადადებას, მაგრამ მსგავსი ექსპედიცია ისტორიული წყაროებისათვის ცნობილი არ არის. ემინმა მართლაც დიდი მხარდაჭერა მოიპოვა დასავლეთ სომხეთში. მისი ავტობიოგრაფიის მეშვეობით ჩვენამდე მოაღწია მიმოწერამ წმ. კარაპეტის მონასტრის წინამძღვარ ოვნანთან. ცნობილი წმ. კარაპეტის მონასტერი მდებარეობდა დასავლეთ სომხეთში, ქალაქ შუშის მახლობლად. მას უწოდებდნენ აგრეთვე გლაკის მონასტერს, რადგან მის პირველ წინამძღვრად და დამაარსებლად ითვლებოდა ზენობ გლაკი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, გრიგოლ განმანათლებლის მიერ იყო დანიშნული. ეს მონასტერი დასავლეთ სომხეთში დიდი გავლენით სარგებლობდა და გარკვეულ პოლიტიკურ როლს ასრულებდა. ეს სიტუაცია იმდროინდელი სომხური პოლიტიკური აზროვნების მარკერია, როცა სომხურმა ეკლესიამ იტვირთა სახელმწიფოს ფუნქცია, სარწმუნოების საფუძველზე ერთობის შეგნებით შეეცადა ხალხის კონსოლიდაციას, გახდა ერის ბედზე ერთადერთი პასუხისმგებელი. ამ მონასტერთან ემინის ურთიერთობა ჩანს ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას დაინყო, სადაც ის შეხვდა ამ მონასტრის მსახურს სუკიასს, რომელმაც დააფინანსა ემინი. ამ პერიოდში ემინი უკვე ნამყოფი იყო დასავლეთ სომხეთში და მონასტრის ასეთი დაბმარება იმის დადასტურებაა, რომ ისინი მთლიანად იზიარებენ მის განმათავისუფლებელ იდეებს. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ემინმა მიმოწერა გააძარა აზრანთან, რომელიც შემდგომში მისი ერთგული თანამებრძოლი და მისი სიტყვებით, „ერთადერთი მეგობარი გახდა მთელს სომხურ სამღვდელოებაში“! ამ ეპიზოდში კარგად ჩანს რუსული ინტერესები და ემინისადმი მიცემული დავალება. ემინისათვის და მისი დამკვეთი რუსეთისათვის ერთ-

¹ Life and adventures, გვ. 223.

ერთი უმთავრესი მისალწევი მიზანი საქართველოს მაპმადიანებთან დაპირისპირებაა, რისთვისაც აჯანყება აუცილებელია. ამიტომ ემინი მომენტს არ უშევებს ხელიდან ერეკლესთან საუბრის დროს, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ აჯანყების დაგეგმვაზე არ ისაუბროს.

ოვნანმა კავშირი დაამყარა იეზიდების ბელადებთან, ქურთთა ტომების სულთნებთან, ხესტორიან ასირიელებთან, მიიმხრო ანატოლიის მთელი სომხური მოსახლეობა, მზად ჰყავდა 40000 ჯარისკაცი. დასავლეთ სომხეთის მთელი მოსახლეობა მზად იყო ასაჯანყებლად, მხოლოდ ერთი პირობით, თუ მათ მხარს დაუჭერდა ერეკლე II. იგი წერდა ემინს, ეთხოვა ერეკლესათვის თუნდაც 50 ქართველი მხედარი, რაც ხალხს დაარწმუნებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე მათ მხარეს იყო. ცხადია, ამ ნომინალური რაოდენობით აჯანყების ბედი ვერ გადაწყდებოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერეკლეს მხარდაჭერის გარეშე სომხურ მოსახლეობაში აჯანყებაზე საუბარი ზედმეტია.¹ მათვის საკმარისი იყო ქართველი მეფის თუნდაც სიგელი, საიდანაც ცხადი გახდებოდა ერეკლე II-ის მონაწილეობა. ამას ადასტურებს ემინისა და ოვნანის მიმოწერა. მეფე ერეკლესთვის ცნობილი იყო ამ მიმოწერის შესახებ. ემინი წერს ავტობიოგრაფიაში, რომ აჩვენა მეფეს ოვნანის პირველი წერილი, აგრეთვე უკითხავდა ყარაბალის მელიქების წერილებს და ესაუბრებოდა მათთან მოლაპარაკებების შესახებ. ოვნანთან ემინისა და ერეკლეს ურთიერთობამ უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინა სომხურ სამღვდელოებაში. სომხეთის კათოლიკოსი სიმეონ ერევნელი ამის გამო საყვედურის წერილს წერს ერეკლეს. აქაც კათოლიკოსს განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება დამოუკიდებლად უაზრობად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ეს დაღუპავდა ერს. ერთადერთ გამოსავალს ის რუსეთის იმპერიასთან კავშირში ხედავდა. მის დროს ჩაისახა ეჩმიაძინის პირველი კონტაქტები რუსეთის სამეფო კართან.² სწორედ ამიტომ გამოვიდა კათოლიკოსი სიმეონი ემინის, ოვნანისა და საერთოდ დასავლეთ სომხეთში აჯანყების აშკარად წინააღმდეგი. ამ წერილმა რადიკალურად შეცვალა ერეკლეს ურთიერთობა ემინისადმი. მალე ემინი დააპატიმრეს. მისი სახლიდან წაიღეს ორი ჩემოდანი ტანსაცმლით, წიგნებითა და წერილებით. მეფეს, როგორც ჩანს, აინტერესებდა არა მარტო წერილები, არამედ ლიტერატურაც, რომელსაც ეცნობოდა ემინი. ერეკლემ გამოიძახა იმ დროს თბილისში მყოფი კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ეს იყო იხგლისური წიგნები სამხედრო ხელოვნების შესახებ. ამის შემდეგ ჩემოდნები ემინს დაუბრუნეს, ჩამოართვეს მხოლოდ ინგლისური წარმოების იარაღი.

ემინმა შეწყალების წერილი მისწერა მეფეს. ამ დროსვე მიიღო მეფემ დიდებულთა პეტიცია, ემინის ჩამოხრჩობის მოთხოვნით. ერეკლემ გადაწყვიტა ემინი რუსეთში გაეგზავნა. ემინს მოუვიდა ბრძანება დაეტოვებინა

¹ გეგუჩაძე, სომებთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, გვ. 277.

² Иоаннисян, Иосиф Эмин, გვ. 139.

საქართველო. მისი თანამოაზრე წინამდლვარი ოვნანი კი კათალიკოსის ბრძანებით განკვეთეს ეკლესიდან. საქართველოდან გაძევებული ემინი რუსეთში არ დაბრუნებულა. ის მიდის დაღესტანში. აქ დარჩა 1766 წლამდე. 1766-1767 წლები ემინმა გაატარა მთიან ყარაბალში.

ემინი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში 1767 წლის ბოლოს და დარჩა 1768 წლის აპრილამდე. თავისი მეორე ვიზიტის შესახებ ის მეტად მოკლედ მოგვითხრობს. მეორე ვიზიტის დროსაც იგივე განმეორდა, რადგან რუსეთისაგან ემინისადმი მიცემული დირექტივა იგივე რჩება - შეიარაღებული დაპირისპირება მუსლიმებთან. ერეკლე კვლავ დუმს და არაფერს ქმედითს არ სთავაზობს ემინს. ემინი კვლავინდებურად ცდილობს საიდუმლო ქსელის გაბმას დასავლეთ სომხეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის გასააქტიურებლად. ეს ერეკლესათვის და ქართლ-კახეთისათვის ბეწვის ხიდზე გავლას უდრის მუსლიმებთან ურთიერთობაში. როგორც კი ერეკლესთვის ცნობილი გახდა ემინის აქტიური ურთიერთობების შესახებ აჯანყების მოთავეებთან, მეფემ ბრძანება გასცა მისი საქართველოდან მეორედ გაძევების შესახებ. 1768 წელს იოსებ ემინი კავკასიოდან საბოლოოდ მიდის და ინდოეთში ბრუნდება. 1773 წელს უახლოვდება მადრასში არსებულ სომებს შაამირიანების წრეს და კვლავ ფიქრობს კავკასიაში დაბრუნებას, მაგრამ ვეღარ განახორციელა. იოსებ ემინი გარდაიცვალა ინდოეთში, კალკუტაში, 83 წლის ასაკში, 1809 წელს.

ამრიგად, სრულიად უშედეგოდ დასრულდა იოსებ ემინის ორი ვიზიტი (1763-1764; 1767-1768) ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. ვერ განხორციელდა ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეა. ეს ვიზიტები XVIII საუკუნის 60-იან წლებს ემთხვევა, ორჭოფობის პერიოდს, როცა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში კითხვის ნიშნები ჩნდება - შეუძლია თუ არა ქართულ ერთობას დამოუკიდებლად არსებობა? ამგვარი სააზროვნო სისტემა უცხოა ქართული თვითცნობიერებისათვის. პირველად დგება დღის წესრიგში პოლიტიკური პროტექტორის ძიების აუცილებლობა. ამიტომ ბევრს ფიქრობს ერეკლე II, მას არჩევანი აქვს გასაკეთებელი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სწორედ ამ დროს ჩნდება საქართველოში, სავარაუდოდ რუსული სახელმწიფოსთვის საინტერესო ფიგურა, იოსებ ემინი სომხური პროექტით. რატომ უნდა დაინტერესებულიყო რუსეთი მისი პერსონით? მაშინ, როდესაც პრიტანეთში რუსეთის ელჩისთვის ცნობილი ხდება სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალი იოსებ ემინის გეგმების შესახებ, გოლიცინი მას რუსული ინტერესებისათვის საშიშროებად აღიქვამს. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთი ცდილობს კავკასიაში მთავარი პოლიტიკური მოთამაშის როლი მოირგოს. რუსეთისათვის ჯერ კიდევ უცნობია ქართლ-კახეთის მასთან ურთიერთობის გადაწყვეტილება. ამიტომ ფრთხილობს რუსეთი. სომხური პროექტის მთავარი მიზანი ქართულ-სომხური სახელმწიფო, მისი ინტერესებისათვის ცხადია სრულიად არასასურველი და საშიში გაერთიანებაა. მაგრამ შესაძლოა ამ პროექტის ავტორი მან საკუთარი ინტერესებისათ-

ვის გამოიყენოს. იოსებ ემინის იდეის განხორციელებაში უმთავრეს ქმედებად მოიაზრება დასავლეთ სომხეთის აჯანყება ოსმალეთის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის მოთავეობით. სწორედ აქ იკვეთება სომეხი ვაჭრისა და რუსული სახელმწიფოს ინტერესები. რუსეთისათვის კავკასიაში უმთავრეს მოწინააღმდეგეს მუსლიმური სახელმწიფოები წარმოადგენს. ამასთან მას სამხრეთ კავკასიის დომინანტ სახელმწიფოსგან - ქართლ-კახეთისაგან ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული ნდობის მანდატი. ამიტომ ქართული სახელმწიფოს მუსლიმურ სამყაროსთან შეიარაღებული დაპირისპირება მისთვის ხელსაყრელი და სასურველია. ამის გამოა მისთვის საინტერესო იოსებ ემინის პერსონა, რომელიც ცდილობს სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურამდე, ერეკლე II-მდე ამ იდეის მიტანას. რუსეთი ემინს დახმარების ხელს უწვდის და გოლიცინი რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას გადააბარებს შემდგომი მოქმედების გეგმას. თავად რუსეთის იმპერიის კანცლერი მიხეილ ვორონცოვი დაგეგმავს ემინის შეხვედრას პეტერბურგში მყოფ მეფე თეიმურაზთან. ასე ხდება იოსებ ემინი რუსული სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების - გოლიცინისა და ვორონცოვის რეკომენდაციით წარგზავნილი პირი საქართველოში. ამრიგად, რუსეთს ორი მიმართულებით სჭირდება იოსებ ემინი. ერთი, მისი მეშვეობით სამხრეთ კავკასიაში არასასურველი პროცესების გაკონტროლება; მეორე, ქართლ-კახეთის დაპირისპირება მუსლიმურ ქვეყნებთან, რაც რუსეთის ჩართვის, დახმარების აუცილებლობას, თავის მხრივ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლისა და მნიშვნელობის გაზრდას გამოიწვევს. ერეკლესათვის ეს პროექტი თავდაპირველად საინტერესო იყო, რადგან მისი პოლიტიკური არჩევანი სხვა ფორმატში გადაჰყავდა. ქართულ-სომხური გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნით ამ მიმართულებით მისი გადაწყვეტილებების გადავადება შესაძლებელი. მაგრამ ემინთან უშუალო ურთიერთობის შემდეგ ერეკლე II მასში რუსული აგენტურის კვალს ამოიცნობს, რაც უპირობოდ ითხოვს მუსლიმურ აღმოსავლეთთან ქართლ-კახეთის დაპირისპირებას. ამ ეტაპზე ერეკლეს ჯერ კიდევ არა აქვს საბოლოო არჩევანი გაკეთებული დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამიტომ ერეკლე II იოსებ ემინს დაატოვებინებს საქართველოს. ასე ჩაიშალა კიდევ ერთი რუსული ავანტიურა საქართველოს მიმართ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გეგურაძე, სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა - გეგურაძე მ., სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა XVIII საუკუნის 60-იან წლებში და საქართველო, უკრ. „ქართული დიპლომატია“, 1996, 3, გვ. 264-284.

გოგოლაური, სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა - გოგოლაური რ., სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა და ერეკლე II XVIII საუკუნის II ნახევარში, უურნ. „გულანი“, 2015, 16, გვ. 99-106.

დავლიანიძე, ლუკა სებასტიელის „დავით ბეგის ისტორია“ - დავლიანიძე ლ., ლუკა სებასტიელის „დავით ბეგის ისტორია“, უურნ. „კლდეკარი“, 1997, 1, გვ. 152-171.

კვაჭანტირაძე, ქართული თვითცნობიერება - კვაჭანტირაძე ე., ქართული თვითცნობიერება ისტორიულ რეტროსპექტივაში, უურნ. „გული გონიერი“, 2013, 5, გვ. 75-96.

მაისურაძე, ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა - მაისურაძე გ., ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982.

ნაცვალაძე, რატომ ცდილობდა რუსეთი - ნაცვალაძე მ., რატომ ცდილობდა რუსეთი ოსმალეთის იმპერიასთან ერეკლე მეორის დაპირისპირებას, გაზ. „რეზონანსი“, 2017, 148, გვ. 8-12.

ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის ურთიერთობა - ტუხაშვილი ლ., ქართლ-კახეთის ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XVIII საუკუნეში, უურნ. „მნათობი“, 1971, 1, გვ. 157-163.

Life and adventures - Life and adventures of Emin Joseph Emin. 1726-1809, written by himself. Second edition with portrait, correspondence, reproductions of original letters and maps, Calcutta, 1918.

Иоаннисян, Иосиф Эмин - Иоаннисян А., Иосиф Эмин, Ереван, 1989.

Leo, Hayou patmowJyown - Leo, Hayou patmowJyown, Յ. III, Erevan, 1946.

Eka Kvachantiradze

Armenian Project in Georgia in the 18th Century

Summary

Sovereign statehood, as the highest value, is a guarantee of any nation's existence, its development, freedom of its people, and their harmonious life. The primary task of the Armenian public opinion was to restore their country's statehood of which it had been deprived for centuries. The Armenian Diaspora abroad began to implement this project conveyed in political programs comprising the issue of independent statehood. Their political

programs of the 1760s revealed a strong orientation towards Georgia. The Armenian bourgeoisie in India was especially active in the national liberation movement and establishment of the country's statehood. Several options of the above mentioned project were presented to the court of the Georgian King Erekle II. Our article deals with one of them, viz. the Armenian project by Joseph Emin.

Joseph Emin, a specialist in military affairs and the author of the project, was from a family of Armenian merchants in India. He visited the court of the United Kingdom of Kartli and Kakheti (i. e. Eastern Georgia) twice (in 1763-1764 and 1767-1768), hoping to start an uprising in Western Armenia with the support of Erekle II. Joseph Emin invited the Georgian King to lead the liberation movement of the Armenian people, free the Armenian lands from Muslims, and create a Georgian-Armenian Federal State headed by the Bagration dynasty.

The effort of Joseph Emin to implement his political program on the creation of the Georgian-Armenian Federal State proved to be unsuccessful. His visits to Georgia in the 1760s coincided with a period of doubts in the history of Georgian public opinion tormented by the question of whether Georgian unity could ever exist independently, since such a system of philosophy was alien to the Georgian identity. It was then that the issue of the need to find a political protector first appeared on the Georgian agenda. In that respect, Erekle II meditated a great deal to make the right choice between East and West. Joseph Emin, who was most likely recruited by the Russian state, appeared in Georgia with his Armenian project right at that time.

Russia was not yet aware of the Georgian King's decision in her favor; besides, creation of the Georgian-Armenian federal state was against her interests. Therefore, she started to act in an effort to escalate the conflict between Georgia and her eastern neighbour. In order to control the situation in South Caucasus, Russia decided to send Joseph Emin to Georgia with the recommendations of the Russian authorities Golitsyn and Vorontsov. At first King Erekle II showed some interest in his project, since it seemed a good opportunity to delay his initial decision about Russia; but by and by, while dealing with Joseph Emin, the King suspected that he acted as an agent of Russia, which hoped to escalate the conflict between Georgia and Muslim East. So, eventually, he forced Joseph Emin to leave Georgia, thus crushing one of Russia's adventures against his country.